საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 20 მარტი, 2024 წელი

დრო: 17:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
4. ზვიად ელიზიანი – მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
6. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
7. მაკა ჯახუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
8. ირინა ფუტკარაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
9. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
10. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
11. ალუ გამახარია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
12. კახაბერ ლომაძე - სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო

13. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
14. მარიკა ვაჭარაძე - ნათელი მომავალი
15. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო საკითხები
2. ახალი წევრების მიღება

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

- *საორგანიზაციო საკითხები*

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე მიმოიხილეს სამუშაო ჯგუფების მიერ შეხვედრების ჩატარების საკითხი. ამ ეტაპისთვის, მეორე და მესამე სამუშაო ჯგუფს აქვს ჩატარებული შეხვედრები, სადაც მსჯელობა გაიმართა სამუშო ჯგუფების სამოქმედო გეგმებზე. საკოორდიანციო საბჭოს თანათავმჯდომარემ, კოორდინატორებს მოუწოდა, რომ 2 კვირის განმავლობაში ჩატარდეს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები. ასევე აუცილებელია ქვეჯგუფების შეხვედრების ორგანიზებაც.

გადასაწყვეტია კოორდინატორების საკითხი. პირველი ჯგუფის კოორდინატორისა და მესამე ჯგუფის კოორდინატორის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. საკოორდინაციო საბჭოს შეუფერხებელი მუშაობისთვის, მნიშვნელოვანია რომ დაკომპლექტდეს საბჭო წესდების შესაბამისად. მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორობის კანდიდატია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის-მურმან მარგველაშვილი“, რომელსაც მიმდინარე შეხვედრაზე სთხოვეს დაეფიქსირებინა მზაობა საბჭოში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მან რამდენიმე დღე ითხოვა მოსაფიქრებლად. პირველი ჯგუფის კოორდინატორები არ ესწრებოდნენ შეხვედრას და მათთან დაზუსტდება ეს საკითხი.

- *სამმხრივი კონფერენციის ორგანიზება*

მსჯელობა გაიმართა სამმხრივი კონფერენციის ორგანიზების საკითხზე. პარლამენტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარე წელს უნდა გაიმართოს ერთობლივი კონფერენცია. პლატფორმის ინიციატივაა, რომ ამჯერად ეს იყოს სამმხრივი ფორმატი. ამ ინიციატივის გათვალისწინებით, საორგანიზაციოდ მეტი დრო იქნება საჭირო და სავარაუდო

თარიღად აპრილის შუა რიცხვები იქნება გათვალისწინებული. კონფერენცია დაეთმობა 9 ნაბიჯს და მისი შესრულების მიმოხილვას. ასევე თემატურად განხილული იქნება სექტორული მიმართულებები.

- *ახალი წევრების მიღება*

კოალიციაში გაწევრიანების სურვილი გამოხატა და პლატფორმის სამდივნოს განაცხადებით მიმართა სამმა ორგანიზაციამ. მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტები განსახილველად გადაეგზავნა საკოორდინაციო საბჭოს. შეხვედრის მიმდინარეობისას, სამდივნომ წარუდგინა შეხვედრაში მონაწილე პირებს წევრობის მსურველი ორგანიზაციები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სამივე ორგანიზაციის განაცხადი დაკმაყოფილებულია.

ახალი წევრები:

1. კანადა-საქართველოს ბიზნეს საბჭო
2. აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია
3. ბიოფერმერები მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა
შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე